სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

85120503584219

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N190223831

რეგისტრაციის თარიღი

01.03.2019 წ

ნოტარიუსი: ოთარ გოლოძე
მისამართი: თბილისი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, N 30, მე-2 სართული, N8
ტელეფონი: 577 111 881

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: **www.notary.ge** ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: **+995(32) 2 66 19 18**

საქართველო
სანოტარო აქტი

ორი ათას ცხრამეტი წლის პირველ მარტს, მე, ნოტარიუს ოთარ გოლოძეს (სანოტარო ბიურო, მდებარე მისამართზე: თბილისი, ქუჩა ომარ ხიზანიშვილი, №30, მე-2 სართული, №8) მომმართა **შპს მედკაპიტალის (ს/ნ 205218030)** გენერალურმა დირექტორმა **ზაზა ჯაფარიძემ,** რომელმაც მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. ამასთანავე მან მოითხოვა სანოტარო მოქმედების შესრულება მისამართზე: თბილისი, ილია ვეკუას ქ. 18

მე გამოვცხადდი ზემოაღნიშნულ მისამართზე, შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და დავრწმუნდი, რომ მე **ზაზა ჯაფარიძემ** (დაბ. 12.11.1964წ. მის: **თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 79, ბინა 36, პ/ნ 01007000646)** მომმართა.

ზაზა ჯაფარიძის, როგორც **შპს მედკაპიტალის (ს/ნ 205218030)** გენერალური დირექტორის უფლებამოსილება დასტურდება ამონაწერით მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, განაცხადის რეგისტრაციის №: B16088068, 13/06/2016 წელს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ.

მე აგრეთვე შევამოწმე მისი ქმედუნარიანობა და დავრწმუნდი, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მაქვს. შემდეგ მას წავუკითხე და განვუმარტე მინდობილობაზე ხელის მოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა მინდობილობა და განაცხადა, რომ იგი სრულად გამოხატავს მის ნებას და ნოტარიუსის თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

მე, **ზაზა ჯაფარიძე (პ/ნ 01007000646),** როგორც **შპს მედკაპიტალის (ს/ნ 205218030)** გენერალური დირექტორი, ვანიჭებ უფლებამოსილებას **თამაზი მურვანიძეს** (დაბ. **13.07.1956წ. პ/ნ 01015021376),** რომ იყოს **შპს მედკაპიტალის (ს/ნ 205218030)** წარმომადგენელი ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის და ზედამხედველობის სამსახურში, ურაბნულ დაგეგმარების სამსახურში, იუსტიციის სახლში, საჯარო რეესტრში, ქ. თბილისის საკრებულოში, მიწის ლეგალიზების კომისიაში, მოახდინოს პროექტის შეთანხმება, აზომვა, ახალი საკადასტრო გეგმის მომზადება, ხარვეზების შესწორება, ცვლილებების შეტანა, სარეგისტრაციო მონაცემებში შერწყმა/გაერთიანება. ამონაწერის მისაღებად დოკუმენტაციის საჯარო რეესტრში წარდგენა, ფართების რეგისტრირებისთვის, პროექტების შეთანხმებისთვის და მშენებლობის ნებართვის მისაღებად. მინდობილი პირი უფლებამოსილია შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობის გამცემის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების განსახორციელებლად მინდობილი უფლებამოსილებების ფარგლებში, მოაწეროს ხელი ჩემს მაგივრად და შეასრულოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ამ დავალების შესრულებასთან.

მინდობილობა ძალაშია 2020 წლის 01 მარტამდე.

მინდობილობა შედგენილია და ხელმოწერილია **ოთხ** ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება ნოტარიუს ოთარ გოლოძის სანოტარო ბიუროს არქივში (დანართი: B16088068 ამონაწერი, წესდების ელ. ვერსია იხ. მეწარმეთა რეესტრის ვებ-გვერდზე), დანარჩენი გადაეცა მინდობილობის გამცემს.

საზღაური: საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №507-ე დადგენილების 31-ე მუხლის თანახმად 10 ლარი, 10 ლარი, თანახმად 34-ე მუხლისა და 2 ლარი თანახმად 39-ე მუხლისა, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 169-ე მუხლის თანახმად დღგ: 3.60 ლარი.

ხელმოწერა: _____

ნოტარიუსი ოთარ გოლოძე

